

FAR/41-26

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის
კომერციული ოპერატორი“

2025 წლის ფინანსური
ანგარიშგება

ინგლისური ორიგინალის თარგმანი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ აქციონერს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ (შემდგომში „კომპანია“, ს/ნ 205170036) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე, ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები - დებიტორული დავალიანების ამოღების შესაძლებლობა

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-15 განმარტებით შენიშვნაზე, სადაც წარმოდგენილია კომპანიის მოთხოვნა შპს „ჯორჯიან მანგანეზისა“ და სს „ხესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანის“ მიმართ, რომელიც 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 39,253,342 ლარს. როგორც განმარტებით შენიშვნაშია წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა, რომ დებიტორებს ჰქონდათ ფინანსური სირთულეები და საანგარიშგებო თარიღისთვის ვადაგადაცილებული დავალიანებები, მენეჯმენტმა არ აღიარა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფასს-9-ის - ფინანსური ინსტრუმენტების შესაბამისად, რაც განპირობებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმდინარე მხარდამჭერი ღონისძიებებით მეტალურგიული სექტორის მიმართ, დაგეგმილი ქმედებებით დავალიანებების ამოღების ხელშეწყობის მიზნით და სამართლებრივი აღსრულების მექანიზმების არსებობით. აღნიშნული დებიტორული დავალიანებების საბოლოო ამოღება დამოკიდებულია ამ ღონისძიებების წარმატებით განხორციელებაზე. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით მოდიფიცირებული არ არის.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც ასახულია 2025 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, რომელიც მოვიპოვეთ აუდიტორის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული დასკვნა მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის გარანტია იმისა, რომ „ასს“-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

„ასს“-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შესაძლოა გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის

წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს არა იმიტომ, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე, არამედ დავგეგმოთ კონკრეტულ გარემოებაზე მორგებული აუდიტორული პროცედურები.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მათ მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ივლისი 31, 2026

შპს არესემ საქართველო

(Reg. # SARAS-F-279563)

გარიგების პარტნიორი: ალი მურტუზა

(Reg. # SARAS-A-577214)

RSM Georgia




*სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრისთვის*

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
აქტივები			
აქტივი გამოყენების უფლებით	13	2,027,362	2,409,591
ძირითადი საშუალებები		307,596	445,803
არამატერიალური აქტივები		-	7,423
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	9	-	-
სავაჭრო და სხვა მოვალეობები	10	-	7,745,231
გრძელვადიანი აქტივები		2,334,958	10,608,048
მარაგები		2,544	1,725
სავაჭრო და სხვა მოვალეობები	10	205,457,182	135,384,521
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	26,809,426	33,042,228
მოკლევადიანი აქტივები		232,269,152	168,428,474
სულ აქტივები		234,604,110	179,036,522
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		254,724	254,724
მესაკუთრის არაფულადი შენატანების რეზერვი		(15,660)	(15,660)
ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამთი		707,505	707,505
გაუნაწილებელი მოგება		34,442,097	34,049,299
სულ კაპიტალი	12	35,388,666	34,995,868
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	13	2,222,633	2,591,900
გრძელვადიანი ვალდებულებები		2,222,633	2,591,900
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	192,154,078	140,974,569
საიჯარო ვალდებულებები	13	369,267	327,249
მოკლევადიანი საგადასახადო ვალდებულება		4,469,466	146,936
მოკლევადიანი ვალდებულებები		196,992,811	141,448,754
სულ ვალდებულებები		199,215,444	144,040,654
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		234,604,110	179,036,522

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2026 წლის 31 ივლისს და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

თორნიკე გახარაშვილი
გენერალური დირექტორი


ხათუნა ჩადუნელი
ფინანსური დეპარტამენტის
უფროსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 40 გვერდებზე

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“
2025 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2025	2024
შემოსავალი	5	867,019,513	799,214,214
რეალიზაციის თვითღირებულება	5	(861,770,205)	(793,004,937)
საერთო მოგება		5,249,308	6,209,277
სხვა შემოსავალი	6	(2,306,431)	12,604
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(6,570,465)	(6,657,381)
გაუფასურების ზარალები სავაჭრო მოთხოვნებზე, წმინდა	15	(229,491)	(396,288)
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან		(3,857,079)	(831,788)
ფინანსური შემოსავალი		5,413,145	3,662,702
ფინანსური ხარჯები		(392,289)	(412,886)
წმინდა ფინანსური შემოსავალი	8	5,020,856	3,249,816
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში ზარალების წილი	9	(770,979)	(570,695)
მოგება დაბეგრამდე		392,798	1,847,333
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება		392,798	1,847,333
სხვა სრული შემოსავალი			
ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება რეკლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში		-	-
ძირითადი საშუალებების გადაფასება		-	-
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		392,798	1,847,333

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2026 წლის 31 ივლისს და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:



 თორნიკე ყაზარაშვილი
 გენერალური დირექტორი



 ხათუნა ჩადუნელი
 ფინანსური დეპარტამენტის
 უფროსი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 40 გვერდებზე.

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“
2024 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ლარი	სააქციო კაპიტალი	მესაკუთრის არაფულადი შენატანების რეზერვი	ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტი	გაუნაწილებ ლი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	254,724	(15,660)	707,505	32,201,966	33,148,535
მთლიანი სრული შემოსავალი წლის მოგება	-	-	-	1,847,333	1,847,333
მთლიანი სრული შემოსავალი ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	254,724	(15,660)	707,505	34,049,299	34,995,868
ნაშთი 2025 წლის 1 იანვარს	254,724	(15,660)	707,505	32,201,966	33,148,535
მთლიანი სრული ზარალი წლის მოგება	-	-	-	392,798	392,798
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	-	392,798	392,798
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერს	254,724	(15,660)	707,505	34,442,097	35,388,666

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2026 წლის 31 ივლისს და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

თორნიკე ყაზარაშვილი
გენერალური დირექტორი

ხათუნა ჩადუნელი
ფინანსური დეპარტამენტის
უფროსი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 40 გვერდებზე.

*სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“
2024 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება*

ლარი	შენიშვნა	2025	2024
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
წლის მოგება		392,798	1,847,333
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		587,650	571,184
გაუფასურების ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე, წმინდა	15	229,491	9,317,018
წმინდა ფინანსური შემოსავალი		(5,020,856)	(3,249,816)
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში ზარალის წილი	9	770,979	570,695
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე და პროცენტის გადახდამდე		(3,039,938)	9,056,413
მარაგები		(819)	1,070
მოკლევადიანი საგადასახადო ვალდებულება		4,322,530	(364,551)
სავაჭრო და სხვა მოვალეობები		(62,556,921)	(62,895,553)
სახელშეკრულებო ვალდებულება		50,373,126	55,334,416
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები პროცენტის გადახდამდე		(10,902,022)	1,131,794
გადახდილი პროცენტი	13	(374,587)	(412,886)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები)		(11,276,609)	718,908
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
მიღებული პროცენტი	8	5,413,145	3,689,452
ძირითადი საშუალებების შეძენა		(59,791)	(64,408)
გაცემული სესხი		-	908,242
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		5,353,354	4,533,286
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან			
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	13	(327,249)	(288,949)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(327,249)	(288,949)
წმინდა (კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(6,250,504)	4,963,245
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	11	33,042,228	28,052,233
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		17,702	26,750
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	11	26,809,426	33,042,228

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2026 წლის 31 ივლისს და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

თორნიკე ყაზარაშვილი
გენერალური დირექტორი

ხათუნა ჩადუნელი
ფინანსური დეპარტამენტის
უფროსი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 – 40 გვერდებზე.

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშვალდებული საწარმო	10	14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
5. შემოსავალი და რეალიზაციის თვითღირებულება	12	15. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	18
6. სხვა შემოსავალი	14	16. პირობითი ვალდებულებები	25
7. ადმინისტრაციული ხარჯები	14	17. დაკავშირებული მხარეები	27
8. წმინდა ფინანსური შემოსავალი	15	18. შემდგომი მოვლენები	27
9. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში .	15	19. შეფასების საფუძველი	28
10. სავაჭრო და სხვა მოვალეობი	15	20. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ	28
11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16	21. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	39
12. კაპიტალი და რეზერვები	16		
13. იჯარები	17		

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(a) ორგანიზაცია და ოპერაციები

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა საქართველოში 2006 წლის 1 სექტემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. 2011 წლის 18 აგვისტოს, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნა, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 10 აგვისტოს #142 ბრძანების საფუძველზე. „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია: 205170036.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: ბარათაშვილის ქუჩა №2, თბილისი, საქართველო.

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა მოიცავს საბალანსო ელექტროენერგიითა და გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობას, ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტს და საქართველოში ელექტროენერგიით ვაჭრობის პროცესების ხელშეწყობას.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2010 წლის სექტემბრიდან ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობას, უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირებას ემსახურება გარანტირებული სიმძლავრე. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს წარმოადგენს თბოელექტროსადგურები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით განსაზღვრული ტექნიკური პარამეტრების მოთხოვნებს. თერმული გარანტირებული სიმძლავრის მინიმალური რაოდენობა თითოეული წყაროსთვის და პერიოდისთვის განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ. „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები“-ს მიხედვით, გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა ხორციელდება მხოლოდ „კომპანიის“ მიერ. 2014 წლის 31 აგვისტომდე ზემოთხსენებულ ოპერაციებში „კომპანია“ მოქმედებდა როგორც აგენტი და არა როგორც პირდაპირი გამყიდველი (პრინციპალი). მას შემდეგ, რაც 2014 წლის 1 სექტემბერს კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდა, „კომპანია“ მოქმედებს გარანტირებული სიმძლავრის ოპერაციებში როგორც პირდაპირი გამყიდველი.

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობები განსაზღვრულია - ს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დადგენილი „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის #246 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციით“ 1999 წლის 30 აპრილით დათარიღებული საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადდა 2019 წლის 27 დეკემბერს, როდესაც ძალაში შევიდა ახალი საქართველოს კანონი - „ენერგეტიკა და წყალმომარაგება“. ახალი კანონი განსაზღვრავს მომავალი ბაზრების ზოგად ჩარჩოს და იძლევა მითითებებს გარდამავალი პერიოდისთვის.

„კომპანიის“ დამფუძნებელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა. 2020 წლის 28 თებერვალს, კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანია სს „საპარტნიორო ფონდი“ იქნა ჩანაცვლებული საქართველოს მთავრობის მიერ.

„საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის #391 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 27 მარტის #87 დადგენილების და 2025 წლის 28 მარტს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ქონების ეროვნული სააგენტო 2025 წლის 29 მარტიდან ახორციელებს აქციონერის/პარტნიორის უფლებამოსილებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის, კომპანიის პირდაპირი და საბოლოო მშობელი კომპანია იყო საქართველოს მთავრობა, წარმოდგენილი სახელმწიფო ქონების

ეროვნული სააგენტოს - მიერ. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია მე-19 შენიშვნაში.

(b) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, კომპანიაზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწესეს სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. კონფლიქტი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზეც. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები საყოფაცხოვრებო საქონელსა და სურსათზე, დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას შორის, ინფლაცია ასევე მოქმედებს ფასებზე და ანალიტიკოსები ასევე პროგნოზირებენ ეკონომიკურ გავლენას გლობალურ ინდუსტრიაზე. საქართველოს ეკონომიკაც დაზარალდა აღნიშნული მოვლენების გამო და ექვემდებარება მომავალ გაურკვევლობებს, ზემოთ აღწერილის შესაბამისად; მეორე მხრივ, 2025 წელს საქართველოს ეკონომიკის .7.5%-მდე ზრდა დაფიქსირდა, რაც გამოწვეულია ინფორმაცია და კომუნიკაცია, ტრანსპორტი, ტურიზმიდან-ნ მიღებული უფრო მაღალი შემოსავლებით და ძლიერი კერძო მოხმარებით. ასევე, ერთიწმნა ეკონომიკური ზრდა არის მოსალოდნელი 2026 წელს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ბიზნეს გარემო მომავალში შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს აღრიცხვის სტანდარტები“) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ კანონის“ საფუძველზე ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც „კომპანიის“ სამუშაო ვალუტას წარმოადგენს. შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს სავალუტო ერთეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს - სტანდარტებთან შესაბამისობაში, რაც ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხო პოლიტიკების გამოყენებასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ზუსტ ასახვაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან. შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. შეფასებების

გადახედვები აღიარებულია პერსპექტიულად.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

შენიშვნა 22 (გ) -განსაზღვრა იმისა მოქმედებს კომპანია პრინციპალის თუ აგენტის სახით გარანტირებული სიმძლავრის და საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვის გარიგებებში.

ინფორმაცია საანგარიშგებო თარიღისთვის დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ, განხილულია შემდეგ შენიშვნებში:

შენიშვნა 15(b)(ii) – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის შეფასება სავაჭრო მოთხოვნებისთვის;

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 15- სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა.

5. შემოსავალი და რეალიზაციის თვითღირებულება

ლარი	2025	2024
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		
შემოსავალი საბალანსო ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	705,438,329	629,782,442
შემოსავალი გარანტირებული სიმძლავრის მომსახურებიდან	145,446,576	154,644,934
შემოსავალი ელექტროენერგიის ექსპორტიდან	9,368,047	8,108,338
შემოსავალი ფიქსირებული ტარიფის მქონე მომსახურებიდან	5,271,756	5,577,912
შემოსავალი პირდაპირი ხელშეკრულებებიდან (იმპორტი)	1,494,805	1,100,588
სულ შემოსავალი	867,019,513	799,214,214

ლარი	2025	2024
გაციდული საბალანსო ელექტროენერგიის თვითღირებულება	(705,438,329)	(629,782,442)
გარანტირებული სიმძლავრის მომსახურების თვითღირებულება	(145,446,576)	(154,644,934)
ექსპორტირებული ელექტროენერგიის თვითღირებულება	(9,214,151)	(7,338,743)
იმპორტირებული ელექტროენერგიის თვითღირებულება - პირდაპირი ხელშეკრულებები	(1,671,149)	(1,238,818)
რეალიზებული ელექტროენერგიის/ გაწეული მომსახურების ჯამური თვითღირებულება	(861,770,205)	(793,004,937)

„კომპანია“ ფლობს ბუნებრივ მონოპოლიას საბალანსო ელექტროენერგიის ბაზარზე. საბალანსო ელექტროენერგიის ფასები განისაზღვრება საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გამოშვებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად საშუალო შეწონილი ფასით.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს #77 ბრძანებით დამტკიცებულ „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებში“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2024 წლის 14 თებერვლის # 1-1/65 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 დეკემბრის N556 დადგენილების შესაბამისად, შემოღებული იქნა ფასთა შორის სხვაობის ხელშეკრულების საფუძველზე ანაზღაურების მექანიზმი - CFD (Contract for difference). აღნიშნული მექანიზმით სიმძლავრის აუქციონში შერჩეული მწარმოებლების მიერ მხარდაჭერის პერიოდში გამომუშავებული (სალტზე მიწოდებული) ელექტროენერგია, „განხორციელების ხელშეკრულების“ საფუძველზე შემოთავაზებული ტარიფით წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიას. შემოღებული მექანიზმით ელექტროენერგია ელექტროენერგიის მყიდველ კვალიფიციურ საწარმოებზე იყიდება პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით საშუალო შეწონილი ფასით. აღნიშნულმა ცვლილებამ გასაყიდი საშუალო შეწონილი ფასის ფორმირებაზე გავლენა არ იქონია.

გაწეული მომსახურების ფიქსირებული ტარიფი - 0.00019 ლარის ოდენობით თითო კვ/თ-ზე, განისაზღვრება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის („სემეკ“) 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების მიხედვით.

- (ა) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის ჩაშლა ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში, შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ჩაშლილია ძირითადი გეოგრაფიული ბაზრების მიხედვით.

ლარი	2025	2024
ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები		
ადგილობრივი	857,651,466	791,105,876
უცხოური	9,368,047	8,108,338
სულ შემოსავალი	867,019,513	799,214,214

- (ბ) სახელშეკრულებო ნაშთები

მოცემული ცხრილი ასახავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო ვალდებულებებზე.

ლარი	2025	2024
"სავაჭრო და სხვა მოვალეობები" შეტანილი მოთხოვნები, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით		
სახელშეკრულებო ვალდებულება	205,264,232	141,512,951

ბიზნეს საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე, კომპანიას არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

6. სხვა შემოსავალი

ლარი	2025	2024
მომხმარებელთა ჯარიმები დაგვიანებული გადახდებისთვის	6,840,697	8,920,730
გაუფასურების ზარალები სავაჭრო მოთხოვნებზე, წმინდა	-	(8,920,730)
მთავრობის მიერ ჩამოწერილი ჯარიმები	(9,302,710)	-
სხვა	155,582	12,604
	(2,306,431)	12,604

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 19 ნოემბრის #1907 განკარგულების საფუძველზე ზოგიერთი მეტალურგიული კომპანიაზე, ასევე 2025 წლის 14 ნოემბრის #1895 განკარგულების და 17 დეკემბრის შეთანხმების საფუძველზე შპს „ჯორჯიან მანგანესა“ და სს „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას“, 2025 წლის სექტემბრის საანგარიშგებო პერიოდის ჩათვლით აღიარებული საურავი/პირგასამტეხლო დავალიანების ჩამოწერა განხორციელდა, უპირობოდ პატიების გზით, რომელიც ჯამში შეადგენს 9,302,710 ლარს.

საჯარიმო შემოსავალი 2,231,258 ლარის ოდენობით წარმოადგენს 2021 წლის ივლისიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე დარიცხულ ჯარიმებს. კომპანიამ აღნიშნული შემოსავალი აღიარა 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში, 2024 წლის 31 მაისს ხელმოწერილი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. ვინაიდან წმინდა გავლენა წულის ტოლია, ჯარიმის სრული თანხა აღიარებულ იქნა 2024 ფინანსურ წელს.

7. ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2025	2024
პერსონალის ხარჯები	5,171,532	5,126,806
ცვეთა და ამორტიზაცია*	587,650	571,184
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	225,206	177,005
საოფისე ხარჯები	162,403	152,185
პროფესიული მომსახურება**	121,645	141,786
კომუნალური ხარჯები	45,131	48,329
სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მხარდაჭერა	42,267	45,093
საწვავი	35,198	40,937
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	9,810	5,150
დაზღვევა	5,903	6,207
ჯარიმის ხარჯები	-	155,582
სხვა	163,720	187,117
	6,570,465	6,657,381

ცვეთასა და ამორტიზაციაში ჩართულია გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივებისა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია, შესაბამისად, 383 ათასი ლარისა და 7 ათასი ლარის ოდენობით (2024 წელი: შესაბამისად, 383 ათასი ლარი და 7 ათასი ლარი).

ზემოაღნიშნული პროფესიული მომსახურება მოიცავს სავალდებულო აუდიტის მომსახურებისთვის გადახდილ გასამრჯელოს 65 ათასი ლარის ოდენობით (2024 წელი: 71 ათასი ლარი).

8. წმინდა ფინანსური შემოსავალი

ლარი	2025	2024
საპროცენტო შემოსავალი	5,413,145	3,689,452
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა	-	-
ფინანსური შემოსავალი	5,413,145	3,689,452
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(374,587)	(412,886)
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი	(17,702)	(26,750)
ფინანსური ხარჯები	(392,289)	(439,636)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური შემოსავალი	5,020,856	3,249,816

9. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

კომპანია ფლობდა წილს სს „საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟაში“, რომელიც დაარსდა 2019 წლის დეკემბერში, თანაბარი წილობრივი მონაწილეობით - 50-50%, რომელსაც ფლობდნენ კომპანია და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“. სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“ წარმოადგენს ელექტროენერგიის ორგანიზებული ბაზრების ოპერატორს და ყოველდღიური ბაზრების საქმიანობას უზრუნველყოფს.

2024 წლის 1 ივლისიდან მოქმედებს ბირჟა-დღით ადრე და დღიური ბაზრები. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის #246 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფცია“ (კონცეფცია) განსაზღვრავს ელექტროენერგიის ბაზრის რეფორმის ეტაპზე, კონცეფციის ამ ეტაპზე, სამიზნე მოდელის და შესაბამისად, საბალანსო ბაზრის და საათობრივი დაბალანსების ამოქმედების ვადა განსაზღვრულია 2027 წლის 1 ივლისამდე.

2023 წლის 25 დეკემბრის #1-1/526 ბრძანების შესაბამისად განხორციელდა ცვლილება, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 28 სექტემბრის #1-1/526 ბრძანების შესაბამისად, რომლის თანახმად ამოღებულ იქნა მითითება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მიერ სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ კაპიტალში 50-50% წილობრივი მონაწილეობასთან დაკავშირებით. შესაბამისად „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ კაპიტალში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისა“ და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ თანაბარი წილობრივი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ აქციების ჯამური რაოდენობის 25%-ით, თითოეულს 1,758,545 აქციით.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააქციო წილი საწარმოში აღირიცხა მხოლოდ აღრიცხვის წილობრივი მეთოდის გამოყენებით.

10. სავაჭრო და სხვა მოვალეობები

ლარი	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
მიმდინარე ნაწილი		
საბალანსო ელექტროენერგია	171,823,254	111,420,069
გარანტირებული სიმძლავრე	32,887,913	22,187,137
დარიცხული ჯარიმები	25,559	948,505
გაწეული მომსახურება	529,412	484,286
პირდაპირი ხელშეკრულებები	23,653	180,878
წინასწარ გადახდილი ხარჯები	167,391	163,646
სულ მიმდინარე ნაწილი	205,457,182	135,384,521
გრძელვადიანი ნაწილი		
საბალანსო ელექტროენერგია	-	7,745,231
სულ გრძელვადიანი ნაწილი	-	7,745,231
	205,457,182	143,129,752

კომპანიაზე საკრედიტო რისკის გავლენა წარმოდგენილია მე-15 შენიშვნაში.

7,745,231 ლარის ოდენობის სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც მანამდე კლასიფიცირებული იყო, როგორც გრძელვადიანი დებიტორული დავალიანება და შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად მისი დაფარვა 2028 წლის 31 მაისამდე უნდა მომხდარიყო, კონტრაგენტის მიერ გადახდის შეთანხმების დარღვევის გამო გადაკლასიფიცირდა მიმდინარე აქტივად. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ესკომ“ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წამოიწყო სამართლებრივი დავა დარღვენილი დავალიანების იძულებითი ამოღების მიზნით. დარღვევისა და თანხის ამოღების განუსაზღვრელობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობამ აღნიშნულ ნაშთზე სრულად აღიარა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 7,745,231 ლარის ოდენობით (100%).

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ლარი	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
საბანკო ნაშთები	26,809,426	33,042,228
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში	26,809,426	33,042,228

კომპანიის მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი განმარტებულია მე-8 შენიშვნაში.

კომპანიის დაქვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკზე წარმოდგენილია შენიშვნაში 15.

12. კაპიტალი და რეზერვები

(a) სააქციო კაპიტალი

ლარი	ჩვეულებრივი აქციები	
	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
აქციების რაოდენობა		
ავტორიზებული აქციები	87,309	87,309
სააქციო კაპიტალის ზრდა	167,415	167,415
ნომინალური ღირებულება	ლარი 1	ლარი 1
გამოშვებული 31 დეკემბერს	254,724	254,724

ჩვეულებრივი აქციები

კომპანიის ჩვეულებრივი აქციებზე 100%-ის მესაკუთრეა სახელმწიფო, საზოგადოების კაპიტალის ოდენობა და მათი ნომინალური ღირებულება განსაზღვრულია სადამფუძნებლო შეთანხმებით. საწარმოს აქვს განთავსებული კაპიტალი, მხოლოდ ნომინალური ღირებულების მეორე აქციებით. განთავსებული კაპიტალის ოდენობა შეადგენს ნომინალური ღირებულების აქციათა ჯამს. სახელმწიფო უფლებამოსილია მიიღოს დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები. -

2022 წლის 11 მაისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის #1-1/209 ბრძანების საფუძველზე, განახორციელდა განთავსებული კაპიტალის ცვლილება და აქციათა ჯამი განისაზღვრა 254 724 (ორას ორმოცდაათოთხმეტი ათას შვიდას ოცდაოთხი) ცალი აქციით.

ფასიანი ქაღალდების რეესტრში რეგისტრირებულია აქციათა ცვლილება და შესაბამისად საწარმოს გააჩნია ამონაწერი აქციათა რეესტრიდან.

(b) დივიდენდები

2022 წლის 1 იანვრიდან, შუალედური ან წლიური ფინანსური შედეგების გათვალისწინებით, სააქციო საზოგადოებას აქვს უფლება, კანონით დადგენილი წესით, მიიღოს გადაწყვეტილება მოგების განთავსებულ აქციებზე დივიდენდების სახით განაწილების შესახებ, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- i. დივიდენდების განაწილებამდე ან მათი განაწილების შემდეგ, სააქციო საზოგადოების უკანასკნელ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი წმინდა აქტივები, იმ განთავსებულ კაპიტალზე (დამატებული კანონით ან წესდებით განსაზღვრული რეზერვები) ნაკლებია, რომელიც არ შეიძლება განაწილდეს აქციონერებზე.
- ii. გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა აჭარბებს სააქციო საზოგადოების უკანასკნელ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ წმინდა მოგების ოდენობას, ან შუალედური დივიდენდების შემთხვევაში, მოგებას, რომელიც მიღებულია უკანასკნელი ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდეგ, დამატებული ნებისმიერი გადმოტანილი მოგება და თავისუფალი რეზერვებიდან მიღებული ოდენობები, გამოკლებული ნებისმიერი გადმოტანილი ზარალი და რეზერვებში განთავსებული ოდენობები, კანონისა ან წესდების შესაბამისად.
- iii. დივიდენდების განაწილების თარიღისთვის ან დივიდენდების განაწილების შედეგად, სააქციო საზოგადოება გახდება გადახდისუუნარო ან გადახდისუუნარობის რისკის წინაშე დადგება.

(c) მესაკუთრის არაფულადი შენატანების რეზერვი

სხვაობა რეგისტრირებულ სააქციო კაპიტალს და შეტანილი საზღაურის სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება როგორც "მესაკუთრის არაფულადი შენატანის რეზერვი" საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

(d) ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტი

გადაფასების ნამეტი უკავშირდება ძირითადი საშუალებების გადაფასებას სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისად.

13. იჯარები

კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებები უკავშირდება საოფისე ფართის იჯარებს. 2021 წლის აპრილში, ოფისის იჯარის ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა და კომპანიამ გააფორმა ახალი საიჯარო ხელშეკრულება იგივე მეიჯარესთან. ახალი ხელშეკრულების შედეგად, კომპანიამ აღიარა აქტივი გამოყენების უფლებით. საიჯარო ვადა განისაზღვრა სახელშეკრულებო ვადით- 10 წელი.

იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულებების შეფასებისას, კომპანია ადისკონტირებს საიჯარო გადახდებს მისი ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით იჯარის აღიარების თარიღისთვის. 2021 წელს გამოყენებული ზღვრული სასესხო განაკვეთი დაახლოებით 13% იყო.

აქტივები გამოყენების უფლებით და დაკავშირებული საიჯარო ვალდებულებები, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი არიან ცალკე მუხლების სახით. იჯარების დაფარვის ვადის ანალიზი წარმოდგენილია შენიშვნაში .

აქტივები გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულებები 2024 წლის 1 იანვრისთვის, 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2025 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

ლარი	ოფისის იჯარა
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	2,792,867
ცვეთის დარიცხვა წლის განმავლობაში	(383,276)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	2,409,591
ცვეთის დარიცხვა წლის განმავლობაში	(382,229)
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერს	2,027,362

საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები 2024 წლის 1 იანვრისთვის, 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2025 წლის 31 დეკემბრისთვის, წარმოდგენილია ქვემოთ:

ლარი	ოფისის იჯარა
საიჯარო ვალდებულებები 1 იანვარი 2024	(3,208,098)
პროცენტის დარიცხვა	(412,886)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	701,835
საიჯარო ვალდებულებები 31 დეკემბერი 2024	(2,919,149)
პროცენტის დარიცხვა	(374,587)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	701,835
საიჯარო ვალდებულებები 31 დეკემბერი 2025	(2,591,900)

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში აღიარებული ოდენობები

ლარი	2025	2024
საიჯარო ვალდებულების დაფარვები	(327,249)	(288,949)
გადახდილი პროცენტი	(374,587)	(412,886)
სულ ფულადი ნაკადების გადინება იჯარებისთვის	(701,836)	(701,835)
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	(369,267)	(327,249)
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	(2,222,633)	(2,591,900)

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
საბალანსო ელექტროენერგია	153,934,871	117,605,604
გარანტირებული სიმძლავრე	37,123,861	22,027,770
ექსპორტირებული ელექტროენერგია	36,263	45,778
პირდაპირი ხელშეკრულება (იმპორტი)	-	152,880
მიღებული მომსახურება	96,754	106,364
სხვა ვალდებულებები	962,329	1,036,173
	192,154,078	140,974,569

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება განხილულია მე-15 შენიშვნაში.

15. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, განუსაზღვრელობების გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

კომპანიამ განსაზღვრა სამართლიანი ღირებულებები შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს შეფასების თარიღისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებულ ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილ ფასს. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს საბაზრო შედარების მიდგომას.

ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ i);
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ ii);
- საბაზრო რისკი (იხილეთ iii).

ამ შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ რისკზე კომპანიის დაქვემდებარების შესახებ, ასევე კომპანიის მიზნებზე, პოლიტიკებსა და რისკების შეფასებისა და მართვის პოლიტიკებსა და პროცესებზე და კომპანიის მიერ კაპიტალის მართვაზე. დამატებითი რაოდენობრივი ახსნა-განმარტებები ასევე შეტანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

კომპანიის ხელმძღვანელობას აკისრია მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის შემუშავებასა და მონიტორინგზე. კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება კომპანიის კლიენტების მიმართ არსებულ მოთხოვნებთან და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე საანგარიშგებო თარიღისთვის იყო შემდეგი:

ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2025	2024
სავაჭრო მოთხოვნები*	205,289,791	142,966,106
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	26,809,426	33,042,228
	232,099,217	176,008,334

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია თითოეული მომხმარებლის

ინდივიდუალური მახასიათებლებით. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე განიხილავს „კომპანიის“ მომხმარებელთა ბაზის დემოგრაფიულ მონაცემებს, იმ მრეწველობებისა და ქვეყნის დეფოლტის რისკების ჩათვლით, რომლებშიც მომხმარებლები საქმიანობენ, რადგან ამ ფაქტორებმა შეიძლება გავლენა იქონიონ საკრედიტო რისკზე. კომპანიის შემოსავალი ძირითადად უკავშირდება გაყიდვების ოპერაციებს რამდენიმე კლიენტთან: თელმიკო, სს „EP Georgia Supply“, სს „ენერგო პრო ჯორჯია“. 2025 წლის განმავლობაში კომპანიის საექსპორტო გაყიდვები ხორციელდებოდა აზერბაიჯანში, თურქეთსა და სომხეთში (2024 წელს: აზერბაიჯანი, თურქეთი და სომხეთი).

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ყველა ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობა ინდივიდუალურად ფასდება კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების პირობების შეთავაზებამდე. კომპანიის მიმოხილვა მოიცავს გარე წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზს, ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.

კანონმდებლობაში 2014 წლის 1 სექტემბრიდან შეტანილი ცვლილებების შედეგად, კომპანია მოქმედებს პრინციპალის სახით და კისრულობს ყველა საკრედიტო რისკს გაყიდული საბალანსო და გარანტირებული ელექტროენერგიისთვის. არსებული შეთანხმებების ფარგლებში, კომპანია: ა) ვალდებულია გადაუხადოს ელექტროენერგიის მწარმოებლებს წარმოებული და მიწოდებული საბალანსო და გარანტირებული ელექტროენერგიისთვის; ბ) ვალდებულია შეიძინოს წინასწარ განსაზღვრული ელექტროენერგიის მოცულობის მინიმალური ოდენობა, თუ მომწოდებელი ვერ გაყიდის მას პირდაპირი ხელშეკრულებების საშუალებით; გ) გასწევს მომსახურებას პირდაპირ მის კლიენტებზე და სხვა არცერთი მხარე არ არის ჩართული.

კომპანიის მომხმარებლების 90%-ზე მეტი უკვე რამდენიმე წელია აწარმოებს გარიგებებს კომპანიასთან და ზარალს იშვიათად ჰქონია ადგილი. კლიენტების საკრედიტო რისკის მონიტორინგის დროს, კლიენტები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, ასაკობრივი პროფილის, დაფარვის ვადების და წარსული ფინანსური სირთულეების არსებობის გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნები კომპანიის საბითუმო მომხმარებლებს უკავშირდება. მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს წინასწარ გარანტიებს. სავაჭრო და სხვა მოვალეობთან დაკავშირებით ზოგადად არ მოითხოვება რაიმე სახის უზრუნველყოფა.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრისთვის, კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების დაახლოებით 100% უკავშირდებოდა ადგილობრივ საბითუმო კლიენტებს. 2025 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიამ დაარეგისტრირა 57 ადგილობრივი საბითუმო მომხმარებელი (2024 წლის 31 დეკემბერი: 57 მომხმარებელი).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნებიდან წარმოშობილ საკრედიტო რისკზე დაქვემდებარების შეჯამება:

ლარი	საკრედიტო რისკით	31 დეკემბერი 2025		31 დეკემბერი 2024	
		ბრუტო	გაუფასურება	ბრუტო	გაუფასურება
დაბალი რისკი	არა	165,093,344	-	55,199,206	(2,902,890)
მაღალი რისკი	კი	59,442,082	(19,078,244)	106,779,300	(15,945,864)
		224,535,426	(19,078,244)	161,978,506	(18,848,754)

მომხმარებელთა საკრედიტო რისკის მონიტორინგის დროს, მომხმარებლები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, ხანდაზმულობის პროფილი, დაფარვის ვადა და წარსულში არსებული ფინანსური სირთულეები.

დაბალი რისკი - კონტრაგენტებს, ახლო მომავალში, აქვთ მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებების დაკმაყოფილების ძლიერი უნარი და ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს მომავალი უარყოფითი ცვლილებები, არ არის სავარაუდო, რომ შეამცირებს კლიენტის

უნარს დააკმაყოფილოს თავისი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები. საშუალო შეწონილი ზარალის განაკვეთი დაბალი რისკის ხარისხისთვის არის დაახლოებით 0.9% (2024: 0.9%).

მაღალი რისკი - კონტრაგენტებს, ახლო მომავალში, აქვთ მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებების დაკმაყოფილების სუსტი უნარი და ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს მომავალი უარყოფითი ცვლილებები სავარაუდოდ შეამცირებს კონტრაგენტების უნარს დააკმაყოფილონ მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები. საშუალო შეწონილი ზარალის განაკვეთი მაღალი რისკის ხარისხისთვის არის 100%. კომპანია მის 90 დღეზე მეტით ვადაგადაცილებულ მოთხოვნებს მაღალი რისკის კატეგორიაში კლასიფიცირდება.

კომპანია განსაზღვრავს გაუფასურების რეზერვს, რომელიც წარმოადგენს მოსალოდნელი ზარალის მისეულ შეფასებას სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში. მოცემული რეზერვის ძირითადი შემადგენელი ნაწილია ინდივიდუალური ზარალის კომპონენტი. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად ადგილობრივ კლიენტებს უკავშირდება, რომლებსაც კომპანიასთან მუშაობის გრძელვადიანი გამოცდილება და კარგი საკრედიტო პოზიცია აქვთ.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ესკოს“ (სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“) ბალანსზე ერიცხება 39,253,342 ლარის ოდენობის მოთხოვნები, რომლებიც წარმოიშვა შპს „ჯორჯიან მანგანეზისა“ და სს „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის“ (ერთობლივად „დებიტორი კომპანიები“) მიერ 2025 წლის აგვისტოს საანგარიშსწორებო პერიოდის ჩათვლით მიღებული დაბალანსების ელექტროენერგიის, გარანტირებული სიმძლავრისა და ელექტროენერგიის გადაცემის მომსახურებებიდან.

აღნიშნული მოთხოვნები მიკუთვნებულია „ესკოს“ სავაჭრო მოთხოვნების მაღალი რისკის სეგმენტს.

საქართველოს მთავრობამ 2024 წლის 17 სექტემბერს გამოსცა №1338 განკარგულება, რომლითაც განისაზღვრა ენერგოწარმოებების მიმართ არსებული დავალიანებების მართვისა და დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგების საწყისი რეგულირების ჩარჩო. ამის შემდგომ, საქართველოს მთავრობამ გამოსცა №1895 განკარგულება №1338 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნული განკარგულება ავალდებულებდა შპს „ჯორჯიან მანგანეზს“ და სს „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას“, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ოფიციალურად დროულად მოეწესრიგებინათ შესაბამისი ენერგოწარმოებების წინაშე არსებული დავალიანებები. შეთანხმების მიზანს წარმოადგენდა ვალის რესტრუქტურირება, დაფარვის პირობებზე შეთანხმება, პირგასამტეხლოს რეგულირება და ვალდებულებების უზრუნველყოფა გირავნობის, იპოთეკისა და უზრუნველყოფის სხვა ინსტრუმენტების მეშვეობით.

მხარეებს შორის 2025 წლის 18 ნოემბერს გაფორმდა საბოლოო შეთანხმება №04/2025. №04/2025 შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გაფორმდა და სანოტარო წესით დარეგისტრირდა უზრუნველყოფის ექვსი ინსტრუმენტი. შეთანხმების თანახმად, არსებული დავალიანება 4 ეტაპად (ტრანშად) უნდა დაფარულიყო 2026 წლის 24 თებერვლის ბოლომდე.

დებიტორმა კომპანიებმა ვერ შეასრულეს №04/2025 შეთანხმებით ნაკისრი რამდენიმე ძირითადი ვალდებულება.

შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ გამოსცა №380 განკარგულება №1895 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. ძირითადი დავალიანების გადახდის საბოლოო ვადამ გადაიწია 2026 წლის 31 მაისამდე, ხოლო №04/2025 შეთანხმებამდე ძირითად დავალიანებაზე დარიცხული ან დარიცხვას დაქვემდებარებული ყველა პირგასამტეხლო სრულად მიეტევათ. გარდა ამისა, თუ ძირითადი თანხა არ დაიფარება 2026 წლის 31 მაისამდე, პირგასამტეხლოს დარიცხვა შესაძლოა განახლდეს 2026 წლის 1 ივნისიდან.

მთავრობის განკარგულების შესაბამისად, „ესკო“ ინარჩუნებს გირავნობისა და იპოთეკის რეალიზაციის (აღსრულების) უფლებას, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების პირობით.

„ესკოს“ ხელმძღვანელობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ 39,253,342 ლარის

ოდენობის მისაღებ მოთხოვნაზე არ უღიარებია რეზერვი ან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL). ხელმძღვანელობის პოზიციით, უზრუნველყოფის ინსტრუმენტების არსებობა (ექვსი დარეგისტრირებული გირავნობისა და იპოთეკის ხელშეკრულება), სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი რესტრუქტურის ჩარჩო და მიმდინარე აღსრულების მექანიზმები იძლევა საკმარის საფუძველს არსებული დავალიანების სრულად ამოსაღებად.

შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ესკოს“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სრული ნომინალური ღირებულებით — 39,253,342 ლარის ოდენობით.

ამ პოზიციის დასასაბუთებლად, „ესკოს“ ხელმძღვანელობამ ოფიციალურად მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომელიც ამჟამად ამზადებს იძულებითი აღსრულების პროცედურებს დებიტორი კომპანიების წინააღმდეგ.

„ესკოს“ საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის მომსახურებიდან ასევე ერიცხება მისაღები მოთხოვნები რამდენიმე მეტალურგიული კომპანიისგან 13,307,163 ლარის ოდენობით, რომლებიც წარდგენილია დაბალი რისკის კატეგორიაში. მეტალურგიულ სექტორში არსებული ფინანსური სირთულეების გამო, აღნიშნულმა კომპანიებმა ვერ შეძლეს „ესკოს“ წინაშე საგადახდო ვალდებულებების შესრულება, რამაც, თავის მხრივ, უარყოფითი გავლენა იქონია „ესკოს“ შესაძლებლობაზე, დაეფარა საკუთარი ვალდებულებები შპს „გარდაბნის თბოელექტროსადგურისა“ და შპს „გარდაბნის თბოელექტროსადგური 2“-ის მიმართ.

შედეგად, აღნიშნულმა მეტალურგიულმა კომპანიებმა ოფიციალურად მიმართეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ძირითადი დავალიანების გადახდის გადავადებისა და დარიცხული პირგასამტეხლოს მიტევების თხოვნით.

სახელმწიფოს განკარგულების გამოცემამდე, „ესკოს“ და თითოეულ მეტალურგიულ კომპანიას შორის 2025 წლის 12 ნოემბერს ხელი მოეწერა ინდივიდუალურ შედარების (შედარების/ურთიერთშეჯერების) აქტებს, რომლებითაც დადასტურდა იმ თარიღისთვის არსებული დავალიანების ნაშთები. შემდგომ განკარგულებაში მითითებული ვალის ყველა ციფრი ეფუძნება სწორედ ამ ხელმოწერილ აქტებს.

2025 წლის 19 ნოემბერს, მეტალურგიული კომპანიების თხოვნის საპასუხოდ, სახელმწიფომ გამოსცა №1907 განკარგულება, რომლითაც დაადგინა შემდეგი:

- **ძირითადი დავალიანების გადახდის გადავადება** — მეტალურგიული კომპანიების მიერ „ესკოსთვის“ გადასახდელი ძირითადი თანხების (დაბალანსების ელექტროენერგია და გარანტირებული სიმძლავრე) დაფარვა გადავადდა 2027 წლის 30 ივნისამდე.
- **დარიცხული პირგასამტეხლოს მიტევება** — შედარების აქტის შედგენის თარიღისთვის დარიცხული ყველა პირგასამტეხლო სრულად იქნა მიტევებული.
- **დარღვევის პირობა** — რომელიმე მეტალურგიული კომპანიის მიერ შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში, ვადაგადაცილებულ ნაშთებზე ახალი პირგასამტეხლოს დარიცხვა აღდგება. გარდა ამისა, „ესკოს“ ექნება უფლება გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული აღსრულების ყველა შესაძლო ზომა.
- **ვალდებულების გადაკისრება „გარდაბნის თბოელექტროსადგურებზე“** — „ესკოს“ საკუთარი საგადახდო ვალდებულებები შპს „გარდაბნის თბოელექტროსადგურისა“ და შპს „გარდაბნის თბოელექტროსადგური 2“-ის მიმართ გადავადდება იმავე პროპორციითა და ფარგლებში, რა მასშტაბითაც გადავადდა „ესკოს“ მისაღები მოთხოვნები მეტალურგიული კომპანიებისგან.

სახელმწიფოს №1907 განკარგულების პირობების აღსასრულებლად, 2025 წლის 17 დეკემბერს ყველა ჩართულ მხარეს შორის გაფორმდა ოფიციალური მრავალმხრივი შეთანხმება. აღნიშნული შეთანხმების თანახმად, მეტალურგიულმა კომპანიებმა აიღეს ვალდებულება, დაეფარათ „ესკოს“ წინაშე არსებული ძირითადი დავალიანების სრული ოდენობა (საბალანსო ელექტროენერგია + გარანტირებული სიმძლავრე) წინასწარ გაწერილ გადახდის გრაფიკზე დაყრდნობით, საბოლოო დაფარვის ვადით — 2027 წლის 30 ივნისი.

აღნიშნული მოთხოვნები კლასიფიცირებულია დაბალი რისკის კატეგორიაში, ვინაიდან გადავადება გამყარებულია სახელმწიფოს განკარგულებითა და ხელმოწერილი მრავალმხრივი შეთანხმებით, რომელშიც მონაწილეობენ „ესკო“, მეტალურგიული კომპანიები და შპს „გარდაბნის თბოელექტროსადგური 1“ და „2“. „ესკოს“ ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ რეზერვის შექმნა არ არის საჭირო, ვინაიდან არსებული დავალიანება წარმოადგენს აქტიურ მოთხოვნებს (performing receivables) სახელმწიფოს მიერ დაფარვის სქემის ფარგლებში, ხოლო თანხის სრულად ამოღება მოსალოდნელია 2027 წლის 30 ივნისისთვის.

მოძრაობა გაუფასურების რეზერვში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

ლარი	გაუფასურების რეზერვი	
	2025	2024
ნაშთი წლის დასაწყისში	(18,848,753)	(9,531,736)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების ანარიცხი	(4,125,480)	(9,317,018)
აღდგენები წლის განმავლობაში	3,895,990	-
ნაშთი წლის ბოლოს	(19,078,244)	(18,848,753)

რეზერვის ანგარიში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გამოიყენება გაუფასურების ზარალის აღრიცხვის მიზნით, მანამ სანამ აღდგენის ყველა შესაძლებლობა არ იქნება ამოწურული; ამ დროს ოდენობები ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსური აქტივის საპირწონედ.

გასული წლების გადაუხდელობის სტატისტიკის მიხედვით, კომპანიას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულის გარდა სხვა დამატებითი გაუფასურების რეზერვი არ არის საჭირო სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით.

(iii) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანია 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა 26,809,426 ლარის ოდენობის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს (2024 წელს: 33,042,228 ლარი), რაც წარმოადგენს მის მაქსიმალურ საკრედიტო რისკს აღნიშნულ აქტივებზე. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია წამყვან ქართულ ბანკში, რომელსაც სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის მიხედვით მინიჭებული აქვს მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი „B“.

გაუფასურება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარებების მოკლე ვადიანობას. კომპანია მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაქტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

(iv) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. კომპანიის პოლიტიკა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები სრულად არის განთავსებული მიმდინარე ანგარიშზე ბანკში, რაც ასევე ხელს უწყობს კომპანიის ლიკვიდურობის მდგომარეობას.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო დაფარვის ვადები, სავარაუდო საპროცენტო გადახდების ჩათვლით და ურთიერთგადაფარვის ხელშეკრულებების

გავლენის გამოკლებით:

31 დეკემბერი 2025

ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულე ბო ფულადი ნაკადები	12 თვეზე ნაკლები	1-2 წლამდე	2-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები საიჯარო						
ვალდებულებები სავაჭრო და სხვა	2,591,900	3,743,123	701,835	701,835	2,105,506	233,945
ვალდებულებები	140,974,569	140,974,569	140,974,569	-	-	-
	194,745,978	195,897,201	192,855,913	701,835	2,105,506	233,945

31 დეკემბერი 2024

ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულე ბო ფულადი ნაკადები	12 თვეზე ნაკლები	1-2 წლამდე	2-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები საიჯარო						
ვალდებულებები სავაჭრო და სხვა	2,919,149	4,444,958	701,835	701,835	2,807,342	233,945
ვალდებულებები	140,974,569	140,974,569	140,974,569	-	-	-
	143,893,718	145,419,527	141,676,404	701,835	2,807,342	233,945

მოსალოდნელი არ არის, რომ ვადიანობის ანალიზში გათვალისწინებული ფულადი სახსრების ნაკადებს ადგილი ჰქონდეს მოსალოდნელზე მნიშვნელოვნად ადრე ან არსებითად განსხვავებული ოდენობით.

(v) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო ფასების ისეთი ცვლილება, როგორც არის სავალუტო კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის ფასები, იმოქმედებს კომპანიის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს ბაზრის რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის პროცესში.

სავალუტო რისკი

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გამოშვებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ მიხედვით კომპანია არ ექვემდებარება არსებით სავალუტო რისკს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ რა ოდენობით უნდა ექვემდებარებოდეს კომპანია ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთიან ინსტრუმენტებს. თუმცა,

ახალი სესხების და კრედიტების აღების დროს გადაწყვეტილების მიღებისას მართვის გუნდი ხელმძღვანელობს საკუთარი მსჯელობით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება კომპანიისთვის - ფიქსირებული თუ ცვალებადი.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანიის პროცენტის ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის შემადგენლობა იყო შემდეგი:

ლარი	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური აქტივები	26,809,426	33,042,228
ფინანსური ვალდებულებები	(2,591,900)	(2,919,149)
	<u>24,217,526</u>	<u>30,123,079</u>

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ან როგორც გასაყიდად გამოზნულს. შესაბამისად, ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში საანგარიშგებო თარიღისთვის არ იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე, ან კაპიტალზე.

(c) კაპიტალის მართვა

კომპანიის საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, - არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა. ვინაიდან, კომპანიის პარტნიორი და აქციათა 100%-ის მესაკუთრეა საქართველოს მთავრობა წარმოდგენილი სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. გარდა ამისა, კომპანია არ წარმოადგენს გარედან დაკისრებული, კაპიტალის მოთხოვნების საგანს, კაპიტალის მართვის მიდგომები განსაზღვრულია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ 2026 წლის 14 მარტის #1/1-2033 ბრძანებით დამტკიცებული საწარმოს წესდებით.

16. პირობითი ვალდებულებები

(a) სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო დავები და საჩივრები, რომელთაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეთ კომპანიის საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის წარმოდგენილი წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

გიორგი კაკუშაძე „ესკოსა“ და ეკონომიკის სამინისტროს წინააღმდეგ

2022 წლის აგვისტოსა და სექტემბერში, გიორგი კაკუშაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელი და დაზუსტებული სარჩელი აღძრა სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ (ესკო) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ. მოსარჩელე ითხოვდა 2018–2022 წლებში ელექტროენერგიის იმპორტის მაქსიმალური ღირებულების შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემასა და სამინისტროს იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, რომლითაც არ განხილულა მისი ადმინისტრაციული საჩივარი. ორივე სუბიექტმა წარადგინა შესაბამისი, რომლითაც არ ცნეს სასარჩელო მოთხოვნები. სამინისტრომ განაცხადა, რომ ის არ წარმოადგენდა „ესკოს“ ზედამხედველ ორგანოს და, შესაბამისად, არ იყო უფლებამოსილი განეხილა საჩივარი. „ესკომ“ განმარტა, რომ იგი არ არის საჯარო დაწესებულება და, შესაბამისად, არ ეკისრება საჯარო

ინფორმაციის გაცემის ვალდებულება. გარდა ამისა, „ესკომ“ აღნიშნა, რომ მოთხოვნილი მონაცემები წარმოადგენდა კომერციულ საიდუმლოებას, რომელიც დაცული იყო კონფიდენციალურობის შესახებ შეთანხმებებით. ამჟამინდელი მდგომარეობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სხდომა ჯერ არ ჩაუნიშნავს.

„ესკო“ სს „თელასის“ წინააღმდეგ

2024 წლის 20 დეკემბერს, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა“ (შემდგომში „ესკო“ ან „ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი“) საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და „ესკოს“ სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით. კასატორი („ესკო“) ითხოვს სს „თელასისთვის“ „ესკოს“ სასარგებლოდ 13,172,652.15 ლარის ოდენობის პირგასამტეხლოს სრულად გადახდის დაკისრებას. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო „ესკოს“ საკასაციო საჩივარი და მოპასუხე მხარეს (სს „თელასს“) განუსაზღვრა ვადა შესაგებლის წარსადგენად. ამჟამინდელი მდგომარეობით, სხდომის თარიღი ჯერ ჩანიშნული არ არის.

„ესკო“ შპს „დატა ჰაბის“ წინააღმდეგ

„ესკომ“ შეიტანა სარჩელი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, დარჩენილი დავალიანებისა და პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნით, რომლის საერთო ოდენობა შეადგენს დაახლოებით 1.28 მილიონ ლარს. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, ხოლო საქმის განხილვა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

„ესკო“ შპს „მეტალოლამის“ წინააღმდეგ

„ესკომ“ შეიტანა სარჩელი დაახლოებით 1.66 მილიონ ლარის გადახდის მოთხოვნით, რომელიც უკავშირდება გარანტირებული სიმძლავრის, დაბალანსების ელექტროენერგიის საფასურს, მომსახურების საფასურსა და პირგასამტეხლოს. სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გარკვეულ უძრავ ქონებაზე განკარგვის უფლების შეზღუდვით, ხოლო საქმის განხილვა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

„ესკო“ შპს „ეი-ემ-ბი ალოსის“ წინააღმდეგ

„ესკომ“ შეიტანა სარჩელი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისა და შეუსრულებლობისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნით. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მათ შორის მოპასუხის წილზე/საკუთრებაზე უძრავ ქონებაში შეზღუდვის დაწესება და საბანკო ანგარიშების დაყადაღება 716.9 ათას ლარამდე. საქმის განხილვა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

„ესკო“ შპს „მარჯანი-5“-ის წინააღმდეგ

„ესკომ“ შეიტანა სარჩელი დაახლოებით 751.0 ათასი ლარის გადახდის მოთხოვნით, რომელიც უკავშირდება შეუსრულებელ ვალდებულებებსა და დარიცხულ პირგასამტეხლოს. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მათ შორის საბანკო ანგარიშების დაყადაღება და გარკვეულ უძრავ ქონებასა და კორპორაციულ წილებზე განკარგვის უფლების შეზღუდვა. საქმის განხილვა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

(b) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოში

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირებას.

17. დაკავშირებული მხარეები

(a) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

(i) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასების და გასამრჯელოების კატეგორიაში (შენიშვნა 7):

ლარი	2025	2024
ხელფასები და ბონუსები	630,873	669,018

(b) ოპერაციები საქართველოს მთავრობასთან

საქართველოს მთავრობა პირდაპირ ფლობს კომპანიის წილების 100%-ს (2024: 100%) და ხმის მიცემის უფლებების 100%-ს და აღნიშნული აძლევს მთავრობას არსებით გავლენას კომპანიაზე. ამასთანავე, კომპანია აწარმოებს ყოველდღიურ ოპერაციებს რიგ საწარმოებთან, რომლებიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან არის საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. მთავრობასთან დაკავშირებულ სუბიექტებთან განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით კომპანიამ აირჩია ბასს 24-ით (დაკავშირებული მხარის განმარტებითი შენიშვნები) ნებადართული გათავისუფლების გამოყენება, რაც იძლევა დაკავშირებული მხარის განმარტებითი შენიშვნების შემცირებული სახით წარდგენის შესაძლებლობას.

ერთობლივად, მაგრამ არა ინდივიდუალურად, მნიშვნელოვანი ოპერაციები

კომპანია ოპერირებს ენერგოსექტორში, რომელშიც დომინირებენ საწარმოები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლდება საქართველოს მთავრობის მიერ, მთავრობასთან დაკავშირებული საწარმოების საშუალებით.

აღნიშნულ ოპერაციებს ადგილი აქვთ კომპანიის ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პროცესში იმ პირობებზე, რომლებიც შესაძრისია სხვა საწარმოების პირობებთან, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მთავრობასთან. კომპანიამ დაადგინა შესყიდვების პოლიტიკა და პროდუქტებისა და მომსახურების შესყიდვების დამტკიცების პროცესები, რომლებიც არ არის დამოკიდებული იმაზე წარმოადგენენ თუ არა კონტრაქტები მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებს.

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიის მნიშვნელოვანი ტრანზაქციების მთლიანი მოცულობა სხვა სახელმწიფო სუბიექტებთან (სახელმწიფოსთან დაკავშირებულ საწარმოებთან) შეადგენს დაბალანსების ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის რეალიზაციის სულ მცირე 5%-ს (2024 წ.: 12%) და დაბალანსების ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვების 25%-ს (2024 წ.: 25%).

18. შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის მენეჯმენტის მიერ გამოსაშვებად 2026 წლის 31 ივლისის მდგომარეობით. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე, არ მომხდარა არავითარი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გავლენას მოახდენდა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

19. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა ძირითადი საშუალებებისა, რომლებიც შეფასებულია გადაფასებული ოდენობებით.

20. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(a) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(c) ფინანსური ინსტრუმენტები

(I) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები და გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდები თავდაპირველად აღიარდება წარმოშობის მომენტში. ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხორციელდება გარიგების თარიღისთვის, როდესაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება, თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შეძენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(i) ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ

შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ „კომპანია“ არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალ ინსტრუმენტებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციების, რომლებიც არ არის გამიზნული ვაჭრობისთვის, თავდაპირველი აღიარებისას „კომპანიას“ აქვს შეუქცევადი არჩევანის უფლება, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულებაში განხორციელებული შემდგომი ცვლილებები. არჩევანი კეთდება კონკრეტული ინვესტიციების მიხედვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღიარდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. აღნიშნული მოიცავს ყველა წარმოებულ ფინანსური აქტივს. თავდაპირველი აღიარებისას, „კომპანიას“ შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასების კრიტერიუმებს, შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოფხვრის, ამ მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობებს, რომლებიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება

მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა გადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითა თუ არა მოდიფიცირება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა გადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, „კომპანია“ ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც შეცვლილი ან მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მოდიფიცირებულია მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულპირობებთან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას, „კომპანია“ იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას

გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას „კომპანია“ აღიარებს ესეთი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა მოდიფიცირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

კომპანია აფასებს არსებითა თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითა შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- ცვლილება გიროში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის პირობის დამატება;
- ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციის ცვლილება.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი/მიღებული თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებებისგან. თუ სავალდებულო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ მოგებას ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როცა მისი პირობები არის მოდიფიცირებული და

მოდერნიზირებული ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავდება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგადაფაროს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(c) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ზარალის რეზერვებს აღიარებს:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე;
- სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულ ინვესტიციებზე სავალო ინსტრუმენტებში; და
- სახელშეკრულებო აქტივებზე.
- კომპანია აფასებს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:
- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზარდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი არასაჭირო ხარჯებისა და ძალისხმევების გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 25 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან

- ფინანსური აქტივი 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია, მოთხოვნის სახეობის მიხედვით.
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალი ფასდება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაუფასურების წარდგენა

ზარალის რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც კომპანიას აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. კომპანია აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე ან ჯერ გამოსაყენებლად ხელმოუწვდომელი არამატერიალური აქტივებისთვის, ანაზღაურებადი ღირებულება ფასდება ყოველ წელს ერთიდაიგივე დროს. გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას.

აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის თვითღირებულება) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოძინების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოძინებებისგან. გაუფასურების ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალები ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ნებისმიერ მინიმუმბაზე იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს.

გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულებას განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(d) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით. შემდგომ, ძირითადი საშუალებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, გარე დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ პერიოდული შეფასების მიხედვით, გამოკლებული შემდგომი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი ამონაგები ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები. გადაფასებული აქტივების გაყიდვისას, ნებისმიერი დაკავშირებული ოდენობა შეტანილი გადაფასების რეზერვში, როგორც გადაფასების ნამეტი, გადატანილია გაუნაწილებელ მოგებაში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) გადაფასება

გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების ზრდა აისახება პირდაპირ გადაფასების რეზერვში, კაპიტალში, გარდა შემთხვევისა, როდესაც ის აღადგენს წინა პერიოდის გადაფასების შემცირებას აღიარებულს მოგებაში ან ზარალში. ამ შემთხვევაში ის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების შემცირება აისახება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევისა, როდესაც ის აღადგენს წინა პერიოდის გადაფასების ზრდას, აღიარებულს პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში. ამ შემთხვევაში აღდგენის ოდენობა აღიარდება პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში.

(iv) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო საწარმოს შიდა ძალებით დამზადებული აქტივები - მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი

საშუალებების თითოეული ნაწილის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განთავსებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

- | | |
|---|-----------|
| - სატრანსპორტო საშუალებები | 5 წელი; |
| - ავეჯი და მოწყობილობები | 4-5 წელი; |
| - კომპიუტერები და ტექნიკური აღჭურვილობა | 4-5 წელი; |

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

(e) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ჩვეულებრივი აქციების გამოშვებას, აღიარდება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

(f) დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ფარგლებში, თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(g) შემოსავლები

(i) ელექტროენერგიის რეალიზაცია

შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან, ელექტროენერგიის ექსპორტის ჩათვლით, ჩვეულებრივი საქმიანობისას, განისაზღვრება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. კომპანია არ ახორციელებს უკან დაბრუნებებს, სავაჭრო და რაოდენობრივ ფასდათმობებს. შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს გონივრული მტკიცებულება, როგორც წესი გაფორმებული სავაჭრო ხელშეკრულების სახით, რომლის მიხედვითაც მომხმარებელს გადაეცემა ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და ანაზღაურება, სავარაუდოა ანაზღაურების ამოღება, დაკავშირებული ხარჯების და ელექტროენერგიის შესაძლო უკანდაბრუნებების საიმედოდ შეფასება არის შესაძლებელი, რეალიზებულ ელექტროენერგიასთან მიმართებაში ხელმძღვანელობის სამომავლო ჩართულობა აღარ არის საჭირო და შემოსავლების ოდენობის საიმედოდ შეფასება არის შესაძლებელი. თუ მოსალოდნელია ფასდათმობა, რომლის ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა არის შესაძლებელი, მაშინ ასეთი ფასდათმობა აღიარებულ უნდა იქნას შემოსავლის შემცირების სახით გაყიდვების აღიარების დროს.

საბალანსო ელექტროენერგიის რეალიზაციისას, რისკებისა და სარგებლის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც ელექტროენერგია მიეწოდება ელექტროსისტემის იმ წერტილს, საიდანაც ნაწილდება მომხმარებელზე ელექტროსადენების მეშვეობით და ელექტროენერგია ითვლება მიღებულად მომხმარებლის მიერ.

2014 წლის სექტემბრიდან, კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად, კომპანია მოქმედებს გარანტირებული სიმძლავრის შემქნისა და რეალიზაციის ოპერაციაში, როგორც

პრინციპალი და შესაბამისად აღიარებს შემოსავლებსა და შესაბამის რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას. კომპანია არ არიცხავს საკომისიოს გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვასა და რეალიზაციაზე. 2014 წლის 1 სექტემბრამდე, გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვისა და რეალიზაციის ოპერაციებში კომპანია მოქმედებდა როგორც აგენტი და არა როგორც პრინციპალი. კლიენტებისგან მიღებული არაფულადი ანაზღაურება ფასდება სამართლიანი ღირებულებით, კომპანიის მიერ არაფულად ანაზღაურებაზე კონტროლის მოპოვების თარიღის მითითებით. შეფასების თარიღის შემდეგ მომხდარი ცვლილებები არაფულადი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებაში არ არის შეტანილი გარიგების ფასში.

(ii) მომსახურება

შემოსავლის აღიარება ხდება კომპანიის მიერ შესაბამისი კანონმდებლობებისა და რეგულაციების ფარგლებში გაწეული მომსახურების მიხედვით, როდესაც შემოსავლის თანხა შესაძლოა საიმედოდ შეფასდეს და სავარაუდოა, რომ ოპერაციებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება.

(iii) შესასრულებელი ვალდებულება

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, შესასრულებელი ვალდებულებების შესრულების ხასიათის და ვადების შესახებ, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკების ჩათვლით:

პროდუქტის/ მომსახურების სახეობა	შესრულების ვალდებულებების არსი და შესრულების ვადები, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით	შემოსავლის აღიარება ფასს 15 მიხედვით
ელექტროენერგიის გაყიდვა (ადგილობრივ და უცხოურ ბაზრებზე), მოიცავს შემდეგის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს:	მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე განხორციელებული გაყიდვების შედეგად, როგორც ადგილობრივ ასევე უცხოურ ბაზრებზე, კლიენტები მოიპოვებენ კონტროლს ელექტროენერგიაზე კომპანიის მიერ ქსელის საშუალებით ელექტროენერგიის მიწოდების თანადროულად.	შემოსავლის აღიარება ხდება გარკვეული დროის განმავლობაში მომსახურების გაწევასთან ერთად, გადაცემული ელექტროენერგიის მოცულობის მიხედვით.
საბალანსო ელექტროენერგია; გარანტირებული სიმძლავრე; იმპორტირებული და ექსპორტირებული ელექტროენერგია;	კომპანიის მიერ ტარიფის დათვლა ხდება ყოველთვიურად, აღნიშნული პერიოდისთვის შესყიდული ელექტროენერგიის ფაქტობრივი ფასების მიხედვით. გაყიდვებთან დაკავშირებით ფასდაკლებები არ არსებობს. გაყიდვების ხელშეკრულებები არ მოიცავს მნიშვნელოვან საფინანსო კომპონენტს.	
კლიენტებისთვის მომსახურების (ადგილობრივი და უცხოური) ფიქსირებული მომსახურების მიღებულ შემოსავალს.	„ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ თანახმად, აბონენტებმა უნდა გადაუხადონ კომპანიას წინასწარ განსაზღვრული მომსახურების საფასური გადაცემული ელექტროენერგიის მოცულობიდან გამომდინარე. გაყიდვების ხელშეკრულებები არ მოიცავს მნიშვნელოვან საფინანსო კომპონენტს.	შემოსავალი აღიარდება გარკვეული დროის განმავლობაში, მომსახურების გაწევასთან ერთად.

(h) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- საპროცენტო ხარჯი;
- სავალუტო ამონაგები ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე, საბალანსო ელექტროენერგიის გარდა.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

საბალანსო ელექტროენერგიის ტარიფი დგინდება საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბრძანების - „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ მიხედვით. ტარიფების დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს საკურსო სხვაობით გამოწვეულ ცვლილებებს და ახდენს საბალანსო ელექტროენერგიის ფასის შესაბამის კორექტირებას. საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვასთან დაკავშირებული სავალუტო ამონაგები ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე აღიარებულია "შემოსავლის" და "რეალიზებული საქონლის თვითღირებულების" მუხლებში. გარანტირებული სიმძლავრის მომსახურების ტარიფს „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია“ ("სემეკი") ადგენს.

(i) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს. მიმდინარე გადასახადები აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა შერწყმას, პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(ii) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში უნდა შესულიყო 2023 წლის 1 იანვრიდან. 2022 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ცვლილებები საფინანსო დაწესებულებებისთვის მოქმედი მოგების გადასახადის მოდელში, რომელიც 2023 წლიდან მოქმედებს. კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, საფინანსო დაწესებულებების ნაწილი ესტონურ საგადასახადო მოდელზე აღარ გადავა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვარს გადაცდენილი წარმომადგენლობითი ხარჯები.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მიმდინარე გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო

ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით მოგების გადასახადით იბეგრება ასევე ზოგიერთი ოპერაცია, როგორიცაა ხარჯის გაწევა, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, უსასყიდლო მიწოდება და ზღვრულ ოდენობაზე გადაჭარბებით წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევა. კომპანია ამგვარი ოპერაციების დაბეგვრას ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებს გარეთ განიხილავს და მათ აღრიცხავს, როგორც მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადებს.

(j) იჯარები

ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ.

როგორც მოიჯარე

კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები.

შემდგომ ხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის საკუთრებას კომპანიას იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ აქტივი გამოყენების უფლებით თვითღირებულება ასახავს კომპანიის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებული იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთით. ზოგადად, კომპანია დისკონტირების განაკვეთად მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს იყენებს.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს, მათ შორის არსებითად ფიქსირებულ გადასახდელებს.

საიჯარო ვალდებულება შემდგომ გაზრდილია საპროცენტო ხარჯით საიჯარო ვალდებულებაზე და შემცირებულია განხორციელებული საიჯარო გადახდებით. საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ის გადაფასებულია, თუ კომპანია შეცვლის მის შეფასებას იმისა, გამოიყენებს თუ არა ის შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობას ან არსებობს თუ არა გადახდილი არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები.

როდესაც საიჯარო ვალდებულება მსგავსი გზით გადაფასდება, ხდება აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულება შემცირებულია ნულამდე.

კომპანიამ აირჩია არ აღიაროს აქტივები გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისთვის, გადაცემის ხაზების ბოძებზე წვდომის უფლების ჩათვლით. კომპანია აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანია აფუძნებს მის მსჯელობას კონტრაქტის და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და კომპანიის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში.

(i) ინვესტიცია მეკავშირე საწარმოებში

„კომპანიის“ წილი მეკავშირე საწარმოებში მოიცავს წილებს ერთობლივ საწარმოებში.

ერთობლივი საწარმო წარმოადგენს გარიგებას, რომელშიც „კომპანიას“ აქვს ერთობლივი კონტროლი, რომლის საშუალებითაც „კომპანიას“ აქვს უფლებები გარიგების წმინდა აქტივებზე, და არა უფლებები მის აქტივებზე და ვალდებულებები მის ვალდებულებებზე. წილები ერთობლივ საწარმოებში აღირიცხება წილობრივი მეთოდის გამოყენებით და თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. ინვესტიციის თვითღირებულება მოიცავს გარიგების ხარჯებს.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის წილს ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში, სააღრიცხვო პოლიტიკებში განხორციელებული კორექტირებების შემდეგ (კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებთან მოსარგებად), აღნიშნული არსებითი გავლენის დაწყების თარიღიდან, არსებითი გავლენის შეწყვეტის თარიღამდე.

როდესაც კომპანიის ზარალის წილი აჭარბებს მის წილს ინვესტიციებში მეკავშირე საწარმოებში, აღნიშნული წილის საბალანსო ღირებულება, ნებისმიერი გრძელვადიანი ინვესტიციების ჩათვლით, შემცირებულია ნულამდე, და შემდგომი ზარალების აღიარება წყდება, გარდა შემთხვევებისა, როდესაც კომპანიას აქვს ვალდებულება ან აქვს განხორციელებული გადახდები ინვესტიციის ობიექტის სახელით.

21. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანია გადავიდა ბუღალტრული აღრიცხვის ყველა იმ ახალ ან შესწორებულ სტანდარტსა და ინტერპრეტაციაზე, რომლებიც გამოშვებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ და სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის. აღნიშნული სტანდარტების მიღებას არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსურ ანგარიშგებაზე.

არსებობს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ერთი ძირითადი შესწორება და მდგრადობი სტანდარტების ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომლებიც სავალდებულო გახდა 2025 წლის 1 იანვრიდან:

- შესწორებები ბასს 21-ში (IAS 21) – კონვერტირებადობის ნაკლებობა: ეს შესწორებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა დადგინდეს, არის თუ არა ვალუტა კონვერტირებადი (გაცვლადი) სხვა ვალუტაში და როგორ უნდა შეფასდეს სპოტური გაცვლითი კურსი, როდესაც ვალუტა კონვერტირებადი არ არის. საწარმოებმა ამიერიდან უნდა წარადგინონ ინფორმაციის

განმარტებები, რათა მომხმარებლებს დაეხმარონ იმის გაგებაში, თუ როგორ მოქმედებს კონვერტირებადობის ნაკლებობა ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე.

გამოცემული, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესული სტანდარტები და შესწორებები

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები, რომლებიც ახლახან გამოიცა ან შესწორდა, თუმცა ჯერ არ არის სავალდებულო, საანგარიშგებო ერთეულის მიერ ნაადრევად არ დაწერგილა 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლიური საანგარიშგებო პერიოდისთვის. საანგარიშგებო ერთეულისთვის ყველაზე რელევანტური, ამ ახალი ან შესწორებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების გავლენის შეფასება მოცემულია ქვემოთ:

- ფასს (IFRS) 18 - წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში: ცვლის ბასს (IAS) 1-ს; ამოქმედების თარიღია 2027 წლის 1 იანვარი.
- ფასს (IFRS) 19 - შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები: ამოქმედების თარიღია 2027 წლის 1 იანვარი.
- შესწორებები ფასს (IFRS) 9-სა და ფასს (IFRS) 7-ში – ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება: ამოქმედების თარიღია 2026 წლის 1 იანვარი.

მმართველობითი ანგარიში

31 ივლისი 2026

ესკო-ს საქმიანობის მიმოხილვა

"ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების" შესაბამისად, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (ესკო) ექსკლუზიურად ახორციელებს საბალანსო ელექტროენერგიითა და გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობას, სეზონური საჭიროების მიხედვით ელექტროენერგიის იმპორტსა და ექსპორტს, ამასთანავე გვევლინება ახლად აშენებული ელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის გარანტირებულ შემსყიდველად (ესკო ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსაც).

კომპანიის პარტნიორი და აქციათა 100%-ის მესაკუთრეა საქართველოს მთავრობა წარმოდგენილი სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახით, რომელიც 2025 წლის 29 მარტიდან ახორციელებს აქციონერის/პარტნიორის უფლებამოსილებას.

ელექტროენერგიის ბაზრის არსებული მოდელის მიხედვით ესკო ყიდულობს და ყიდის საბალანსო ელექტროენერგიას და გარანტირებულ სიმძლავრეს, ანუ იმ ელექტროენერგიას, რაც იქნა ფაქტიურად გამომუშავებული და ამავდროულად შესაბამისად მოხმარებულიც. ფაქტიურად, ესკოს მეშვეობით ხორციელდება ელექტროენერგიის და გარანტირებული სიმძლავრის ხარჯის გენერირების იდენტური ოდენობით გადატანა მომხმარებელზე, რაც საშუალებას აძლევს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს სრულად მოახდინოს შეძენილი ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის ხარჯების კომპენსირება.

საბალანსო ელექტროენერგიის, ასევე გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვა **ესკოსათვის არაა მომგებიანი საქმიანობა**, საბალანსო ელექტროენერგიის ფასი განისაზღვრება საბაზრო წესების შესაბამისად, საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე ყოველგვარი სხვა ნამატის გარეშე, ანუ თვითღირებულებით. **ესკო თავისი საქმიანობისათვის იღებს მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილ საკომისიოს (მომსახურების საფასური), რომლის ოდენობა არაა დამოკიდებული მოგების მაჩვენებელზე.**

ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი არის ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვების ხელშეკრულების (PPA-ს) ხელმომწერი მხარე, რაც მოიცავს ახლად აშენებული ჰესებიდან გამომუშავებული ელექტროენერგიის გარანტირებულ შესყიდვის ვალდებულებებს, ძირითადად შემოდგომა-ზამთრის თვეებში, როცა ქვეყანაში ელექტროენერგიის მოხმარება მნიშვნელოვნად მეტია საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობასთან შედარებით.

ესკო არ მონაწილეობს ინვესტორთან გასაფორმებელ მემორანდუმში ფასის და შესასყიდი პერიოდის განსაზღვრის პროცესში. იგი მთავრობასა და ინვესტორს შორის მიღწეული შეთანხმებით, მემორანდუმებში ასახული პირობების გათვალისწინებით ინვესტორთან აფორმებს ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებას.

ხაზგასასმელია და არსებითი ის გარემოება, რომ აღნიშნული სადგურებიდან ესკოს მიერ

ელექტროენერგიის შესყიდვისა და გაყიდვის სქემა არსებითად არ განსხვავდება გენერაციის სხვა ობიექტებიდან ელექტროენერგიის შესყიდვისა და რეალიზაციის სქემისაგან.

ესკოს ფინანსური მდგრადობა

კომპანიას გააჩნია მდგრადი ფინანსური მდომარეობა. მტკიცე საგადაამხდელო დისციპლინა. ფინანსური მდგრადობა დაკავშირებულია სხვადასხვა მაჩვენებლებთან: საიმედო მონაცემებთან, რომელიც მნიშვნელოვანია მოხმარებისთვის და სარგებლიანი ინფორმაციისთვის, გადაწყვეტილებების მიღებისა და შედეგისათვის. ესკო ცდილობს გააჩნდეს ყოველთვის სრული, დროული, ზუსტი, გასაგები და მნიშვნელოვანი, საიმედო ინფორმაცია. ესკოს წინდახედული და სამართლიანი მიდგომებისა და შეფასებების ჩამოყალიბება, ასევე ფინანსური რესურსების მიზნობრივი და ეფექტური გამოყენება სექტორის მდგრადობის ხელშეწყობია. აღნიშნული ვლინდება სექტორის სხვა კომპანიებთან ურთიერთობის, მაკონტროლებელი ორგანოებისა და აუდიტის ანალიზის შეფასებაზე დაყრდნობით.

საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი

კომპანიას თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში გააჩნდა და გააჩნია საკრედიტო რისკი. ეს არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი (ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვერელი მხარე) არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ესკოსათვის კუთვნილი თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. საკრედიტო რისკი კომპანიას ძირითადად წარმოეშვა მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნებიდან. საკრედიტო რისკი და მისი მართვა კომპანიის მიერ დეტალურად აღწერილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიას გააჩნია საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი, რომელიც მოიცავს ინფორმაციის შემოწმებას გარე რესურსებიდან, მათი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში. საწარმოებთან სისტემატური ურთიერთობა, არსებული პრობლემის განხილვა მათთან ერთად და მოცემული რისკების შემცირება.

ასევე, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მიმართავს ღონისძიებებს საკრედიტო რისკების შემცირების მიზნით, რაშიც იგულისხმება:

ფინანსური ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს დარიცხვა. წერილობითი გაფრთხილებები და ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის ან შეზღუდვის ღონისძიებების გამოყენება („ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ და სტანდარტული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად).

სასამართლოში სარჩელის შეტანა თანხის იძულებით გადახდევინებაზე.

მომხმარებელთა 90%-ზე მეტს სამ წელზე მეტია საქმიანი ურთიერთობა ესკოსთან და ზარალს იშვიათად აქვს ადგილი. კომპანია საკრედიტო რისკის დაბალი მაჩვენებლის მატარებელია (მოვლენის დადგომის ალბათობა 10 წლის განმავლობაში ორი მომხმარებელი). აღნიშნულმა ზარალმა გავლენა არ მოახდინა ორგანიზაციის სტრატეგიულ განვითარებასა და საქმიანობაზე.

საკრედიტო რისკი არსებობს აფხაზეთში მოხმარებული საბალანსო ელექტროენერგიის დავალიანებაზე. „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ 38-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის შესაბამისად, აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მიწოდება ხორციელდება ენგურჰესისა და ვარდნილჰესების კასკადის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მიწოდება ხდება სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ შესყიდული ელექტროენერგიის ხარჯზე, ენგურჰესი და ვარდნილჰესების კასკადი ვალდებული არიან მომდევნო საანგარიშო პერიოდებში მიაწოდონ სისტემის კომერციულ ოპერატორს ეკვივალენტური რაოდენობის ელექტროენერგია. *სისტემის კომერციული ოპერატორი უფლებამოსილია აღნიშნული ელექტროენერგია გაყიდოს მის მიერ ნაყიდი და აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწოდებული ელექტროენერგიის ფასად.*

ესკო აფხაზეთში მოხმარებული ელექტროენერგიის დაბრუნების შემდგომ იწყებს რეალიზაციას ანუ გაყიდვას. ამ ოპერაციით **აფხაზეთში მიწოდებული ელექტროენერგიის ხარჯი აკუმულირებას ახდენს ექსპორტის ან საბალანსო ელექტროენერგიის რეალიზაციის თვითღირებულებაში, რის შემდგომაც ხდება აფხაზეთში საბალანსო ელექტროენერგიის მოხმარების ხარჯის ამოღება.**

სისტემის კომერციული ოპერატორის ხარჯის დროულად ამოღებისათვის ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ესკოს, ენგურჰესსა და ვარდნილჰესებს შორის გაფორმებულ, ელექტროენერგიის დაბრუნების გრაფიკების შესრულებას, რადგან მხოლოდ ამ წესით დაბრუნებული ელექტროენერგიის გადაყიდვა იძლევა შესაბამისი თანხის ამოღების და საკრედიტო რისკების გადაზღვევის საშუალებას.

ბაზრის წესების აღნიშნული ნორმით, საბალანსო ელექტროენერგიის რეალიზაცია, რაც აფხაზეთს მიეწოდა, ენგურჰესის და ვარდნილჰესების მიერ დაბრუნების დროს (ანაზღაურების გარეშე), თავსდება შესაბამის სამართლებრივ მოთხოვნებში: ენგურჰესის და ვარდნილჰესების მიერ ვალდებულებაა, მიაწოდოს აფხაზეთს ელექტროენერგია უსასყიდლოდ და ესკო საბალანსო ელექტროენერგიის დაბრუნების დროს, აწვდის შიდა მოხმარებლებს ამ ელექტროენერგიას ბაზრის წესების მოთხოვნით, არსებული საშუალო მეწონილი ფასით.

აღნიშნული ბაზრის წესების აღნიშნული ნორმის განხორციელება, საბალანსო ელექტროენერგიის, აფხაზეთში მოხმარებისა და დაბრუნების შედეგად, არ იწვევს რაიმე სახის დამატებით ხარჯებს.

ფასს -9-ის მიხედვით კომპანიამ საკრედიტო ზარალი შეფასება მოახდინა ინდივიდუალურ დონეზე სადაც რისკის დონე მაღალია, ანუ ფინანსურ აქტივებზე ზარალი უკვე დამდგარია და მისი გამოთვლის გზა განსხვავდება მომავალში მოსალოდნელი ზარალის გამოთვლის გზისაგან, იგი მიკუთვნებული იქნა მე-3 სტადიის რისკის პოზიციაზე, სადაც ზარალი 100%-ის ტოლია და რომელმაც ფაქტობრივად კომპანიის მოგების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შეამცირა.

საკრედიტო ზარალი, რისკის პოზიცია იქ სადაც არ არის მნიშვნელოვანი, გაუფასურება შეფასდა ჯგუფურ დონეზე.

ფასს 9-ის მიხედვით საწარმომ შეფასებების მომენტში გამოიყენა საკრედიტო ზარალის აღრიცხვის ყველა გონივრული და ღირებული დასაბუთებული ინფორმაცია წარსულ მოვლენებზე, მიმდინარე მდგომარეობაზე და შესაბამისად მომავალი ეკონომიკური მდგომარეობაზე დაყრდნობით, რომლის მიხედვით მომზადდა დასაბუთებული, არგუმენტირებული განმარტებები და შეფასებები.

კომპანიამ 2025 წლის ანგარიშგებისთვის, საკრედიტო რისკის მონიტორინგის დროს, მოახდინა დაბალი რისკის საკრედიტო პოლიტიკის გადახედვა, რისკის შეფასების კრიტერიუმებისა და კონტრაგენტების გადახდისუუნარობის ანალიზით, პოლიტიკა ადაპტირდა არსებული მაღალი რისკის კონტრაგენტების მომატებასთან დაკავშირებით. ზარალის განაკვეთი რომელიც გამოყენებულ იქნა ვალდებულებების დაფარვის ძლიერი უნარის მქონე კონტრაგენტებზე გამოყენებულ იქნა მაღალის რისკის კონტრაგენტების ზარალის დასაფარავად, ამგვარი საკრედიტო პოლიტიკის გადახედვით კომპანიამ მაქსიმალურად გამოიყენა ზარალების ასახვა მაღალი რისკის, გახდისუუნარო კონტრაგენტების მხრიდან რისკის შესამცირებლად.

2023 წლის ანგარიშგებით საკრედიტო პოლიტიკა დაექვემდებარა გადახედვას. ვინაიდან, მსოფლიო ბაზარზე საქართველოში წარმოებულ სილიკომანგანუმზე შემცირებული მოთხოვნის გამო, საწარმოებს რომელთა პროდუქცია დაკავშირებულია ფეროშენადნობ, კერძოდ სილიკომანგანუმის წარმოებასთან შეექმნათ ფინანსური კრიზისი. შემცირებულია რეალიზაცია და შესაბამისი სარეალიზაციო ფასიც.

ვინაიდან, ეკონომიკური კრიზისები-რეცესიები, ფინანსური და საბაზრო კრიზისები ლიკვიდურობის კრიზისების წინაპირობაა, ასეთი პერიოდების განმავლობაში ესკოში მომხმარებლებისგან შემცირებულია შემოსავლები, რაც იწვევს კლებად ფულის ბრუნვას, კლებად მოგებას, რაც ფულის მოძრაობას ასუსტებს და ლიკვიდურობის პრობლემებს იწვევს. ამიტომ, ლიკვიდურობის კრიზისების ასარიდებლად კომპანიამ განიხილა ფულის მოძრაობის მართვის აუცილებლობა და მოახდინა აქტივების დივერსიფიკაცია ფულადი და გადავადებული ვალდებულებების რეზერვების შექმნით.

შემუშავებული ლიკვიდურობის კრიზისების შესამსუბუქებელი სტრატეგიები:

როგორც ცნობილია, ყველაზე მაღალლიკვიდურ აქტივად თავად ნაღდი ფული ითვლება. შემდგომ, დებიტორული დავალიანებები (მისაღები თანხები), თუ სწრაფად და იოლად არ შეგვიძლია გარკვეული აქტივის ნაღდ ფულზე კონვერტირება, მით მეტია ამ აქტივის ლიკვიდურობის რისკი. ამიტომ, ფულის არასაკმარისი რეზერვის გამო კომპანიამ მომავალ საანგარიშგებო პერიოდში შესაძლებელია ფინანსური ვალდებულებების შესრულება ვეღარ უზრუნველყოს.

კომპანიის მიერ გატარებული პირველი ღონისძიება- ლიკვიდურ და არალიკვიდურ აქტივებს შორის დივერსიფიკაციით, რომლის შედეგად დამფუძნებლის თანამშრომლობით კომპანიამ ლიკვიდურ აქტივების შესაბამის თანხაზე, მოიპოვა მხარდაჭერა კრედიტორებთან და შეთანხმებების გზით გადავადდა ვალდებულებები. აღნიშნული კომპანიები წარმოადგენენ სახელმწიფოსთვის სტრატეგიულ მნიშვნელობის სუბიექტებს, ამიტომ მოთხოვნები დროებით დარეზერვებულია ესკოსთან სახელმწიფო ფლობით დაკავშირებულ მხარის მქონე კომპანიის ვალდებულებებთან. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოთხოვნების უნიკალური ბუნება და სახელმწიფოს ჩართულობა მხარს უჭერს მათ პოზიციებს დარეზერვების საკითხთან დაკავშირებით.

ასევე, შეგროვებისა და გადახდების ეფექტური პრაქტიკით, მოხდა ფულის საკმარისი რეზერვების დროებითი შენარჩუნება. აღნიშნული რეზერვების შექმნა დაბალი ლიკვიდურობის მქონე აქტივზე დამოკიდებულება და რისკი დააზარალოს სხვა მწარმოებლები დროებით შეამცირა, როგორც ცნობილია, ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი არის ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვების ხელშეკრულების (PPA-ს) ხელმოწერი მხარე, რაც მოიცავს ახლად აშენებული ელექტროსადგურებიდან გამომუშავებული ელექტროენერგიის გარანტირებულ შესყიდვის ვალდებულებებს.

მე-2 გატარებული ღონისძიება- შემუშავებულ იქნა ფულადი ნაკადების პროგნოზირების პროცესი და კონტროლის მექანიზმები. გაანალიზდა მიმდინარე და გადაუდებელი დაფინანსების საჭიროებები. განისაზღვრა ფულადი სახსრების გადინების პრიორიტეტები: გამოიყო რომელი გადახდებია უფრო მნიშვნელოვანი და გადაუდებელი, რადგან ფულადი სახსრები უზრუნველყოფს ვალდებულებების შესრულებას და შესაბამისად კომპანიის გადახდისუნარიანობის შენარჩუნებას.

ასევე, კომპანია გეგმავს - გააუმჯობესოს ვალების შეგროვება. როგორც მოგახსენეთ, კომპანიის ლიკვიდურობას დიდი მნიშვნელობა აქვს. კომპანიას უნდა შეეძლოს, მიმდინარე ვალდებულებებს, განსაკუთრებით უახლოეს პერიოდში დასაფარავ ვალდებულებებს მოემსახუროს, ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებთან ერთად, რათა გრძელვადიანად მოხდეს ლიკვიდურობის დაჭერა. კომპანიის ლიკვიდურობის დონეს ლიკვიდური აქტივების (ამ შემთხვევაში ასეთად მიჩნეულია აქტივები, რომლებიც მაქსიმუმ ერთ წელში შესაძლოა ნაღდ ფულად იქცეს) მიმდინარე ვალდებულებებთან (ერთი წლის განმავლობაში დასაფარავი ვალდებულებები), ეს ფარდობით კოეფიციენტში რაც მეტად მაღალია, კომპანიის ლიკვიდურობა მით მეტია.

ლიკვიდურობის მართვისას ესკოს მიდგომა არის, რამდენად შესაძლებელია გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულებების გაჩენისას ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა. ლიკვიდურობის რისკი და მისი მართვა კომპანიის მიერ აღწერილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ლიკვიდურობის კუთხით არსებული რისკების გავლენის შემცირებას ხელს უწყობს პარტნიორის მიერ წმინდა მოგების სახით საწარმოს განკარგულებაში დატოვებული ფინანსური სახსრები. ფულადი სახსრები მთლიანად განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკში, რომელიც ამყარებს კომპანიის ლიკვიდურობას.

მოგების მაჩვენებლის ფორმირება ხდება ესკოს მიერ წლის მანძილზე განხორციელებული ექსპორტის ოპერაციებიდან და ამ ოპერაციების განხორციელებაზე დამოკიდებული ესკოს მოგების მაჩვენებელი, შესაბამისად საწარმოს საბრუნავი სახსრების მოცულობა.

2025 წის საანგარიშგებო პერიოდის მოგების მაჩვენებელმა შეადგინა 392 798 ლარი.

სავალუტო რისკი

კომპანიას გააჩნია სავალუტო ოპერაციები, სავალუტო რისკი და მისი მართვა კომპანიის მიერ აღწერილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ესკო სენსიტიური იყო სავალუტო კურსის ცვლილებების მიმართ 2014 წლამდე. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის ბოლოს „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებში“ შესულმა ცვლილებამ, რომლის მიხედვითაც ესკოს მიერ იმპორტირებულ ელექტროენერგიაზე წარმოქმნილი საკურსო სხვაობა აისახება რეალიზებული საბალანსო ელექტროენერგიის ფასში, პრაქტიკულად ნულამდე დაიყვანა სავალუტო რისკი.

სხვა ოპერაციები

საანგარიშო პერიოდის შედეგებით ესკოს არ გააჩნდა სესხები, კრედიტები და სხვა ანალოგიური სახის ვალდებულებები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ.

არ აქვს გაცემული გარანტიები ან საგარანტიო წერილები, არ ერიცხება ავანსად გადახდილი თანხები. მნიშვნელოვანია, რომ კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან.

ესკო თავისი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არ/ვერ იღებს გადაწყვეტილებებს

განსახორციელებელი სავაჭრო ოპერაციებთან დაკავშირებულ ისეთ კარდინალურ თემებზე, როგორიცაა ელექტროენერგიის და გარანტირებული სიმძლავრის შესასყიდი ან გასაყიდი ფასების განსაზღვრა, მყიდველი და გამყიდველი საწარმოების შერჩევა, ფასდათმობების განხილვა, გადასახდელების გადაკისრება ან გადავადება და ასე შემდეგ. ყველა ასეთი საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონდებლობის მიხედვით (გარდა ექსპორტის ოპერაციებისა), შესაბამისდ არ წარმოადგენს ესკოს მენეჯერული გადაწყვეტილების საგანს, რაც თავის მხრივ ამცირებს ასეთი გადაწყვეტილებებიდან რისკების წარმოშვების ალბათობას.

ენერგეტიკის სფეროში დაგეგმილი და განხორციელებული რეფორმების შესახებ

ენერგეტიკის სექტორში დაგეგმილი რეფორმების ხელშეწყობის ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 24.12.2018 წ. N1-1/605 ცვლილებების შეტანის თაობაზე ბრძანებით დამტკიცდა “ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფცია”, რომლის მიზანი არის ელექტროენერგიის ბაზრის ისეთი სტრუქტურის შექმნა, რომელიც როგორც საბითუმო, ისე საცალო ბაზრებზე, უზრუნველყოფს გამჭვირვალე და საინვესტიციო გარემოს შექმნას. ის უზრუნველყოფს ორგანიზებული ბაზრების, მათ შორის დღით ადრე, დღიური და საბალანსო ბაზრების ჩამოყალიბებას; გარდამავალ პერიოდში განსახორციელებელ ღონისძიებების განსაზღვრას;

ასევე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 28 სექტემბრის N1-1/465 ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად, სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას” და სს “ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს” დაევალებათ საწარმოს დაფუძნება 50-50% წილობრივი მონაწილეობით. აღნიშნული ბრძანებით დაფუძნდა შვილობილი კომპანია სს “საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა”, რომლის დაფუძნების მიზანი არის, ენერგეტიკის სექტორში მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების ხელშეწყობა, დღით ადრე და შემდგომი დღიური ბაზრების ფორმირების, ბაზრის ოპერატორის ჩამოყალიბებისთვის საჭირო ღონისძიებების მომზადება და კოორდინაცია. ასევე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, 2023 წლის 26 დეკემბრის 24/12044 მომართვის საფუძველზე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 25 დეკემბრის #1-1/526 ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, ამოღებულ იქნა მითითება სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” და სს “ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის” მიერ სს “საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის” კაპიტალში 50-50% წილობრივი მონაწილეობასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, სს “საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის” კაპიტალში სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” და სს “ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის” სს “საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისა” და შპს “საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის” 25 % თანაბარი წილობრივი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, დარეგისტრირებული აქციების საერთო ჯამიდან 7 034 179 აქციიდან, რეგისტრირებული მფლობელის 1 758 545 აქციის ფლობის თაობაზე.

საქართველოს მთავრობის მიერ “ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ” 2020 წლის აპრილის #246 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2024 წლის პირველი ივლისიდან სს “საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა” ამოქმედდა, რომელიც უზრუნველყოფს დღით ადრე და დღიურ ბაზრის ოპერირებასა და ფინანსურ ანგარიშსწორებას.

თორნიკე ყაზარაშვილი

გენერალური დირექტორი



ხათუნა ჩადუნელი

მმართველობითი ანგარიშის

შედგენაზე პასუხისმგებელი პირი

